გასაჩივრება

თუ საემიგრაციო სამსახური უარს იტყვის თქვენ განცხადებაზე, შეგიძლიათ გასაჩივროთ. გასაჩივრება შეგიძლიათ იმ შემთხვევაშიც, თუ არ მოგვნიჭათ თავშესაფარი, მაგრამ მოგეცათ დამატებითი დაცვა„

როგორ გადალახოთ ენობრივი ბარიერი?

ყველა გასაუბრება და დოკუმენტი, რომელსაც მიიღებთ სახელმწიფო ორგანოებისგან, უნდა იყოს იმ ენაზე, რომელიც გესმით, სხვა შემთხვევაში, უნდა იყოს თქვენთვის გადათარგმნილი.

თუ მოხელე არ ლაპარაკობს ენაზე, რომელიც თქვენ გესმით, სახელმწიფო ხარჯებით თქვენთვის დაქირავებული იქნება თარჯიმანი.

იურიდიული დახმარების უფლება

თქვენს განცხადების განხილვის პირველ ეტაპზე, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც იძლევიან უფასო იურიდიულ კონსულტაციებს, ან საკუთარი ხარჯებით გამოიყენოთ კერძო ადვოკატის მომსახურება.

გასაჩივრების პროცესისას გაქვთ უფლება, მიიღოთ უფასო იურიდიული დახმარება, რომლის შესახებაც დაწვრილებით ინფორმაციას მოგაწვდიან პროცესის მიმდინარეობისას.

UNHCR

გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი (ჩდ) დგას გაერო-ს ხელმძღვანელობის სათავეში, ორგანიზაციისა, რომელსაც აკისრია მსოფლიო პასუხისმგებლობა ადამიანთა უფლებების და კეთილდღეობის უზრუნველყოფაზე, ანუ იმ ადამიანებზე, რომელთაც სჭირდებათ საერთაშორისო დაცვა.

თუ გსურთ, რომ ჩდ-მა დაწვრილებით ადევნოს თვალყური თქვენი პროცესის მსვლელობას, საჭიროა თქვენი წერილობითი თანხმობა, საემიგრაციო სამსახურის მიერ თქვენთვის გაცნობილი ფორმის მიხედვით.

თქვენი უფლებების დასაცავად არ დაგავიწყდეთ წერილობითი თანხმობის მიცემა ჩდ-სთვის

სად გაგიწევენ დახმარებას?

ქალაქი კოშიცე

ადამიანის უფლებათა დაცვის ლიგა
Liga za ľudské práva
Hlavná ul. 68
040 01 Košice

mobil +421 {0} 918 366 968

მეტი ინფორმაცია:

ქალაქი ბრატისლავა

გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარის კანცელარია (UNHCR)
Úrad vysokého komisára OSN pre utečencov (UNHCR)
Štúrova ul. 6
811 02 Bratislava

tel. +421 {0} 2 529 27 876
fax. +421 {0} 2 529 27 871

ადამიანის უფლებათა დაცვის ლიგა
Liga za ľudské práva
Hurbanovo nám. 5
811 03 Bratislava

tel. +421 {0} 2 544 35 437
+421 {0} 2 546 42 438

faqsi: +421 {0} 2 546 42 439

mobili: +421 {0} 918 682 457
+421 {0} 918 857 715

E-mail: hrl@hrl.sk

ინტერნეტ-გვერდი:

www.unhcr.sk

www.hrl.sk

www.utecenci.sk

UNHCR
The UN Refugee Agency

საერთაშორისო დაცვა სლოვაკეთის რესპუბლიკაში

The Human Rights League
Liga za ľudské práva

საერთაშორისო დაცვის უფლება

საერთაშორის დაცვის უფლება სლოვაკეთის რესპუბლიკაში ეფუძნება:

- 1948 წლის ადამიანთა უფლებების საყოველთაო დეკლარაციას;
- 1951 წლის ლტოლვილტა იურიდიული სტატუსის შესახებ ხელშეკრულებას;
- 1967 წლის ლტოლვილთა იურიდიული სტატუსის შესახებ პროტოკოლს;
- ევროპის საბჭოს 2004/83/ ჩ დირექტივას: საკვალიფიკაციო დირექტივები;
- სლოვაკეთის რესპუბლიკის კონსტიტუციას;
- თავშესაფრის შესახებ კანონიდან.

შეიძლება რომ მოვითხოვო საერთაშორისო დაცვა?

დიახ, ასევე, როგორც ნებისმიერ სხვა ადამიანს, თქვენც გაქვთ უფლება მოითხოვოთ საერთაშორისო დაცვა სლოვაკეთის რესპუბლიკაში.

ქვემოთ ჩამოთვლილი მიზეზებიდან გამომდინარე,თუ გჭირდებათ საერთაშორისო დაცვა, შეგიძლიათ მოითხოვოთ იგი, თუნდაც იმ შემთხვევაში, თუკი სლოვაკეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემოხვედით არალეგალურად.

ვინ შეიძლება ისარგებლოს საერთაშორისო დაცვით?

თავშესაფარი (ლტოლვილის სტატუსი) მოგენიჭებათ იმ შემთხვევაში, თუ გაქვთ დასაბუთებული დეკნის საფრთხე ქვემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო:

- რასობრივი,
- რელიგიური,
- ეთნიკური,
- გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილება (რომელიც იდევნება), ან
- გარკვეული პოლიტიკური შეხედულებების ქონა

ზემოთ ჩამოთვლილი საფრთხეების გამო, არ შეგიძლიათ ან არ გსურთ დაბრუნება მშობლიურ სახელმწიფოში, ან სადაც ბოლოს ცხოვრობდით.

სლოვაკეთის რესპუბლიკა მოგანიჭებთ დამატებით დაცვას, თუ ვერ აკმაყოფილებთ თავშესაფრის მინიჭებისთვის საჭირო პირობებს, მაგრამ თუ თქვენს დაბრუნებას მშობლიურ სახელმწიფოში, ან სადაც ბოლოს ცხოვრობდით, შეიძლება მოყვეს თქვენდამი სერიოზული უსამართლობა, ისეთი როგორიცაა მაგ.:

- სიკვდილის მოსჯა, ან მისი განხორციელება
- წამება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა, ან სასჯელი
- თქვენი სიცოცხლისთვის სერიოზული საფრთხე შეიარაღებული კონფლიქტის დროს განუკითხავი ძალადობისას.

დამატებითი დაცვა მიენიჭება ერთი წლის ვადით და შესაძლებელია მისი გაგრძელება.

როგორ მოვითხოვოთ საერთაშორისო დაცვა?

საერთაშორისო დაცვა შეიძლება მოითხოვოთ:

- სლოვაკეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე შესვლისას უნდა მოითხოვოთ საერთაშორისო დაცვა პოლიციის მოხელესთან ნებისმიერ სასაზღვრო პუნქტზე ან აეროპორტში;
- თუ უკვე შესული ხართ სლოვაკეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, შეგიძლიათ ითხოვოთ დახმარება ნებისმიერ სახელმწიფო დაწესებულებაში, რომლის მუშაკები მიგითეთებენ შესაბამის საპოლიციო განყოფილებაზე;
- თავშესაფრის პოლიციის განყოფილებაში,რომელიც არსებობს თავშესაფრის დაწესებულებასთან ქ. ჰუმენნეში ან ქ. ადამოვო-გბელი;
- თუ იმყოფებით უცხოელების დაკავების დაწესებულებაში – ამ დაწესებულების პოლიციის განყოფილებაში;
- თუ იმყოფებით საავადმყოფოში, ან თანმხლების გარეშე დარჩენილი მცირეწლოვანი უცხოელებისთვის განკუთვნილ დაწესებულებაში, ან დაწესებულებაში პატიმრობისა და სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ამ დაწესებულებათ თანამშრომელთა დახმარებით დაუკავშირდით ახლოს მდებარე პოლიციის განყოფილებას.

მნიშვნელოვანია, რომ სლოვაკეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემოსვლის შემდეგ, რაც შეიძლება მოკლე ხანში მოითხოვოთ საერთაშორისო დაცვა.

საერთაშორისო დაცვის მოთხოვნაზე თქვენი განცხადების შეტანის შემდეგ მოგთხოვენ რომ გაემგზავროთ თავშესაფარ დაწესებულებაში ქ. ჰუმენნეში. აგიხსნიან, თუ როგორ მოხვდეთ იმ ადგილას და მოგცემენ 24 საათიან ავტობუსის ან მატარებლის უფასო ბილეთს.

უფასო სამგზავრო ბილეთის გაცემის მომენტიდან 24 საათის განმავლობაში უნდა გამოცხადდეთ თავშესაფარ დაწესებულებაში ქ. ჰუმენნეში.

საზღვაო და უცხოელთა პოლიციასთან თქვენი პირველი კონტაქტისას აგიღებენ თითების ანაბეჭდებს და გადაგიღებენ სურათს (ეს მონაცემები შეინახება ღ ჩ-ის მონაცემთა ბაზაში).

რა არის ღ ჩ-ი და დუბლინი II ?

ღ ჩ-ი არის მონაცემთა ბაზა, რომელიც შეიცავს ყველა იმ პირის თითების ანაბეჭდებს, რომლებმაც მოითხოვეს საერთაშორისო დაცვა, რომელიმე იმ ევროპულ ქვეყანაში, სადაც მოქმედებს დუბლინის II დადგენილება(ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა, ნორვეგია, შვეიცარია). ამ მონაცემთა ბაზაში ინახება 14 წელს გადაცილებულ პირთა თითების ანაბეჭდები.

დუბლინის II დადგენილების თანახმად, საერთაშორისო დაცვა შეგიძლიათ მოითხოვოთ მხოლოდ ერთ წევრ ქვეყანაში. თუ ამის შემდეგ დატოვებთ ამ ქვეყნის ტერიტორიას და სხვა ევროპულ სახელმწიფოში, სადაც ეს დადგენილება მოქმედებს, მოითხოვთ საერთაშორისო დაცვას, ღ ჩ-ის მონაცემთა ბაზაში ნაპოვნი იქნება თქვენი თითების ანაბეჭდები და ყოველ შემთხვევაში დაბრუნებული იქნებით იმ ქვეყანაში, სადაც საერთაშორისო დაცვა პირველად მოითხოვეთ.

რას ნიშნავს პროცესი საერთაშორისო დაცვის შესახებ?

ქ. ჰუმენნეში თავშესაფარ დაწესებულებაში თქვენი მოსვლის შემდეგ, თქვენი განცხადება წერილობით დარეგისტრირდება.

დარეგისტრირდება აგრეთვე ინფორმაცია თქვენი პიროვნების შესახებ.

ძირითადად:

- თქვენი პირადი მონაცემები;
- მანაცემები თქვენი პირადი/სამგზავრო დოკუმენტების შესახებ;
- ინფორმაცია თქვენი მგზავრობის შესახებ, სლოვაკეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოხვედრამდე.

ყველა საბუთს, რომელიც თან გექნებათ, ჩამოგართმევენ მოხელეები და ამის შესახებ მოგცემენ ცნობას.

ამის შემდეგ ინფორმირებული იქნებით თავშესაფრის მონიჭების პროცესის განმავლობაში თქვენი უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ და მიიღებთ თავშესაფრის მაძიებლის საბუთს.

თქვენი თავშესაფრის მაძიებლის განცხადება გაგზავნილი იქნება საემიგრაციო სამსახურში, რომელიც შეისწავლის თქვენ განცხადებას და გადაწყვეტს, თუ ასრულებთ საერთაშორისო დაცვის მიღებისათვის საჭირო პირობებს. ამ მიზნით, საემიგრაციო სამსახური თქვენთან მოაწყობს დაწვრილებით გასაუბრებას.

თქვენი განცხადების შესწავლამდე საემიგრაციო სამსახური გადაამოწმებს, ხომ არ არის რომელიმე სხვა ქვეყანა, სადაც მოქმედებს დუბლინის II დადგენილება, პასუხისმგებელი თქვენი განცხადების შესწავლაზე.

თუ გაირკვევა, რომ თქვენი განცხადების შესწავლაზე პასუხისმგებელია რომელიმე სხვა ქვეყანა ან, რომ უკვე მოითხოვნილი გაქვთ საერთაშორისო დაცვა სხვა ქვეყანაში, სადაც მოქმედებს დუბლინის II დადგენილება, დაბრუნებული იქნებით ამ ქვეყანაში.

ძალზე მნიშვნელოვანია, რომ გულახდილად ახსნათ ყველა მიზეზი, რის გამოც მოითხოვთ საერთაშორისო დაცვას. თქვენი განცხადების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისათვის საფუძველი იქნება საემიგრაციო სამსახურის მუშაკთან თქვენი გასაუბრების ჩანაწერი.

გადაწყვეტილება

თუ სლავაკეთის რესპუბლიკა პასუხისმგებელია საერთაშორისო დაცვაზე თქვენი განცხადების შესწავლაში, მისი შინაარსის დაწვრილებითი შესწავლის შემდეგ საემიგრაციო სამსახურს შეუძლია მიიღოს ერთ-ერთი ამ გადაწყვეტილებებიდან:

- მიანიჭოს თავშესაფარი (ლტოლვილის სტატუსი)
- არ მიანიჭოს თავშესაფარი, მაგრამ მისცეს დამატებითი დაცვა
- არ მიიღოს თქვნი განცხადება საერთაშორისო დაცვის მოთხოვნაზე.